MOH 8 22 00025322 14/06/2022

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელს ბატონ ბექა ჯაყელს

ასლი: სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსს,

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს

ქალბატონ შორენა ჭილაშვილს

კოლეგებო,

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 7 ივნისს შედგა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბატონი ზურაბ აზარაშვილის და მინისტრის მოადგილის ქალბატნი თამილა ბარკალაიას შეხვედრა, მალდივის რესპუბლიკის განათლების მინისტრთან, საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმასთან დაკავშირებით.

აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, მაღალი დონის სტუმარს გადაეცა პროტოკოლით გათვალისწინებული სუვენირი - ,,ლომი“, რომლიც შესყიდულ იქნა შპს ,,საჩუქრები 95“-სგან, საერთო ღირებულებით - 295 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი (CPV კოდი: 18530000).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს

კანონის მე10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის (წარმომადგენლობითი ხარჯი) შესაბამისად, გთხოვთ, ,,ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და მართვისთვის“ 2022 წლის ასიგნებების ფარგლებში, განახორციელოთ ანგარიშსწორება შპს ,,საჩუქრები 95“-თან ზემოაღნიშნულ თანხაზე.
დანართის სახით წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტს (ინვოისი).

(დანართი: 1 PDF ფაილი).

პატივისცემით,

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი
გიორგი ენუქიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად